The Rule of Law in the Labyrinth of the Human Element: From the Billy Milligan Phenomenon to "12 Angry Men"

კანონის უზენაესობა ადამიანურ ფაქტორთა ლაბირინთში: ბილი მილიგანის ფენომენიდან „12 განრისხებულ მამაკაცამდე"

Barbare Kalaijishvili
Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University
PhD Student
+995 597 000 691; barbare.kalaijishvili@tafu.edu.ge

Abstract. The article examines the boundary between the strict ideal of the rule of law and the human factors present within the judicial process. Drawing upon real-world precedents (the Billy Milligan case and somnambulism) alongside cinematic examples ("12 Angry Men" and "Philadelphia"), it demonstrates that final verdicts are frequently the result of emotional pressure, social stigmas and personal traumas rather than a purely objective analysis of evidence.

The text analyzes the legal challenges that phenomena such as dissociative identity disorder and involuntary behavior pose to the justice system. Referencing American experience, the study also addresses the contemporary Georgian reality. It highlights that despite the introduction of the jury system, the local infrastructure still faces the challenge of overcoming stereotypes and fully integrating medical-psychological aspects. The article concludes that the primary value of democratic law lies not in a standard of absolute infallibility but rather in the capacity for reasonable doubt, humanism and a profound responsibility toward the fate of the individual.

Keywords: Rule of law; Jury system; Billy Milligan; 12 Angry Men; Dissociative identity disorder; Somnambulism: Georgian justice system.

ბარბარე კალაიჯიშვილი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი
+995 597 000 691; barbare.kalaijishvili@tafu.edu.ge

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია ზღვარი კანონის მშრალ იდეალსა და სასამართლო პროცესში არსებულ ადამიანურ ფაქტორებს შორის. რეალური

პრეცედენტებისა (ბილი მილიგანის ქეისი, სომნამბულიზმი) და კინემატოგრაფიული ნიმუშების („12 განრისხებული მამაკაცი“, „ფილადელფია“) მაგალითზე ნაჩვენებია, რომ საბოლოო ვერდიქტი ხშირად ემოციური ზეწოლის, სოციალური სტიგმებისა და პირადი ტრავმების შედეგია და არა მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური ანალიზის.

ტექსტში გაანალიზებულია ის სამართლებრივი გამოწვევები, რომლებსაც პიროვნების გაორება თუ არაცნობიერი ქცევა უქმნის მართლმსაჯულებას. ამერიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, განხილულია ქართული რეალობაც. ხაზგასმულია, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მიუხედავად, ადგილობრივი სისტემა ჯერ კიდევ დგას სტერეოტიპების დაძლევისა და სამედიცინო-ფსიქოლოგიური ასპექტების სრულფასოვანი გააზრების გამოწვევის წინაშე. დემოკრატიული სამართლის უმთავრესი ღირებულება უშეცდომობა კი არა, ეჭვის შეტანის უნარი, ჰუმანიზმი და ინდივიდის ბედისადმი პასუხისმგებლობაა.

საკვანძო სიტყვები: კანონის უზენაესობა; ნაფიცი მსაჯულები; „ბილი მილიგანი“; „12 განრისხებული მამაკაცი“; პიროვნების გაორება; სომნამბულიზმი; ქართული მართლმსაჯულება.

შესავალი. თანამედროვე მსოფლიოში ამერიკული დემოკრატია ხშირად აღიქმება სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მოდელად. მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენი მართლმსაჯულების სისტემაა, რომელიც კანონის უზენაესობისა და მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპებს ეფუძნება. თუმცა, მიუხედავად ამ იდეალური მოდელისა, პრაქტიკაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ხშირად დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტურ მტკიცებულებებზე, არამედ ადამიანურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე, რაც სისტემის შიდა თავისებურებებსა და სირთულეებზე მიუთითებს. დემოკრატია გვევლინება როგორც მექანიზმი, რომელიც მუდმივად მერყეობს მიღწევებსა და გამოწვევებს შორის.

ეს რეალობა ნათლად აისახება როგორც კონკრეტულ სამართლებრივ პრეცედენტებში, ისე მათ კინემატოგრაფიულ რეპრეზენტაციებში: „12 განრისხებული მამაკაცი“ (1957), „ფილადელფია“ (1993) და დენიელ კიზის რომანი ბილი მილიგანის შესახებ, რომლის მიხედვითაც არაერთი ფილმი შეიქმნა. ამერიკული მართლმსაჯულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სივრცე, სადაც კანონის იდეალი და ადამიანური ფაქტორი ერთმანეთს კვეთს.

კვლევის მეთოდოლოგია. სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, რეალური სამართლებრივი პრეცედენტებისა და სამედიცინო-ფსიქოლოგიური გამოცდილების შედარებითი ანალიზი მათ კინემატოგრაფიულ რეპრეზენტაციებთან. კვლევა ეყრდნობა კინოხელოვნების თეორიულ ასპექტებსა და ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სამართლის ფილოსოფიას, ფსიქოანალიზსა და სოციოლოგიურ დაკვირვებებს ქართულ და ამერიკულ მართლმსაჯულების სისტემებში არსებულ გამოწვევებზე.

პიროვნების დისოციაციური აშლილობა და ბილი მილიგანის ქეისი

კავშირი კანონსა და ადამიანის ბუნებას შორის კიდევ უფრო რთულდება, როდესაც საქმე ადამიანის ფსიქიკის იდუმალ მხარეებს, კერძოდ, პიროვნების გაორების ფენომენს ეხება. ფსიქოლოგიაში პიროვნების გაორება ცნობილია, როგორც დისოციაციური იდენტობის აშლილობა (DID). ეს მდგომარეობა ერთ ადამიანში ორი ან მეტი განსხვავებული იდენტობის არსებობას გულისხმობს. აშლილობა ხშირად მძიმე ფსიქოლოგიურ ტრავმებს უკავშირდება და ფსიქიკის თავდაცვის მექანიზმია, რომელიც ადამიანს სტრესულ გამოცდილებასთან გამკლავებაში ეხმარება. თითოეულ იდენტობას შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული ქცევის მოდელი, მეხსიერება და თვითაღქმა, რაც სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრას ძალიან ართულებს.

ამ მიმართულებით ამერიკელი ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი ელიზაბეთ ჰაუელი თავის წიგნში აღნიშნავს: „ჩვენი „მე“ კომპლექსური ბუნებისაა. პიროვნული მთლიანობის განცდა გონებაში სხვადასხვა გამოცდილებისა და მოგონებების დაკავშირების შედეგად ყალიბდება. ჩვენი შინაგანი სამყარო ერთდროულად მოიცავს როგორც ერთიანობას, ისე მრავალფეროვნებას. ამგვარად, პიროვნება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული „ქვე-მეებისგან“ შემდგარი სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ფართო სოციალური კონტექსტის ნაწილია“ (Howell, 2006: 38).

ამ მხრივ ბილი მილიგანის საქმე უმნიშვნელოვანესი პრეცედენტია, რომელმაც 1970-იანი წლების მიწურულს ამერიკული საზოგადოება და სასამართლო სისტემა უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა. მილიგანი აშშ-ის ისტორიაში პირველი ადამიანი გახდა, რომელიც მძიმე დანაშაულებში (მათ შორის – შეიარაღებულ ძარცვასა და გაუპატიურებაში) დაადანაშაულეს, თუმცა სასამართლომ იგი შეურაცხადად სცნო. ამ შემთხვევის შემდეგ გაჩნდა კითხვა: ვინ აგებს პასუხს დანაშაულზე, როდესაც ერთ სხეულში ოცზე მეტი სხვადასხვა პიროვნება თანაარსებობს და მათგან მხოლოდ რამდენიმეა მოძალადე? ბილი მილიგანის საქმემ ცხადყო, რომ მართლმსაჯულება, რომელიც ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ეფუძნება, ხშირად უძლურია ისეთი კომპლექსური ფენომენის წინაშე, როგორიც პიროვნების დისოციაციური აშლილობაა.

ამავდროულად, სამეცნიერო საზოგადოების ნაწილი პიროვნების გაორების არსებობის მიმართ მაინც სკეპტიკურადაა განწყობილი. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ თერაპევტები ზედმეტად ენდობიან პაციენტებს, რაც მეცნიერულად ყოველთვის არ არის გამართლებული. ამერიკელი ფსიქოლოგი და მკვლევარი ნიკოლას სპანოსი განმარტავს, რომ „თუ პაციენტი ამბავს ემოციურად, დაწვრილებით და თანმიმდევრულად ყვება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის სიმართლეს ამბობს. ზუსტად ასეთივე ნიშნები ახასიათებს გამოგონილ ამბებსაც, რომელთა ჩაგონება პაციენტისთვის ექსპერიმენტის დროს ან შთაგონების (სუგესტიის) გზით სრულიად შესაძლებელია“ (Spanos, 1996: 110).

ადამიანური ფაქტორი და სოციალური სტიგმები კინემატოგრაფში

თუკი პიროვნების გაორების შემთხვევაში ტრავმა ადამიანის ფსიქიკას ცვლის და მას ანაწევრებს, სამართლებრივ პროცესში ტრავმული გამოცდილება სულ სხვა მხრივ იჩენს თავს. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება არა ბრალდებულზე, არამედ უშუალოდ მსაჯულებზე – მათ შინაგან სამყაროსა და იმ წინასწარ განწყობებზე, რომლებითაც ისინი რეალობას აღიქვამენ.

სწორედ ეს საკითხი უდევს საფუძვლად სიდნი ლუმეტის ფილმს „12 განრისხებული მამაკაცი“ (1957). კინოსურათი ნათლად აჩვენებს: მსაჯულების გადაწყვეტილება მათივე განვლილი ცხოვრებისა და წარსული ტკივილების ანარეკლია. ფილმის დასაწყისშივე ჩანს, რომ მათთვის სულაც არ არის მნიშვნელოვანი, რეალურად დამნაშავეა თუ არა ბიჭი. მათი მთავარი მიზანი პროცესის სწრაფად დასრულება და სახლში წასვლაა. მოქმედება ჩაკეტილ ოთახში, საშინელი სიცხისა და დახუთულობის ფონზე ვითარდება, რაც მათ ფაქტების სიღრმისეულ ანალიზში უშლით ხელს. ამ გარემოში მკაფიოდ ის იარლიყები ჩანს, რომლებსაც მსაჯულები მოზარდს აკრავენ. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი მიიჩნევს, რომ რადგან ბიჭი „ჭაობში“ გაიზარდა, ის აუცილებლად დამნაშავეა, რადგან მისი აზრით, იქიდან „მხოლოდ ნაგავი გამოდის“. ეს სოციალური სტიგმა მსაჯულს ხელს უშლის დაინახოს რეალური ადამიანი და მას წინასწარ განაჩენი მხოლოდ ბიჭის წარმომავლობის გამო გამოაქვს.

თუმცა, ყველაზე მძიმე მაინც მესამე მსაჯულის პირადი დრამაა, მისი აგრესია ბრალდებულის მიმართ საკუთარ შვილთან კონფლიქტის ბრალია. ფილმში მოზარდს მამის მკვლელობაში სდებენ ბრალს, ეს მსაჯული კი ბიჭში ქვეცნობიერად ხედავს საკუთარ შვილს. მისთვის ეს პროცესი არა სამართლიანობის ძიება, არამედ შვილზე შურისძიების ირიბი გზაა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ემოციურად იცლება და შვილის ფოტოს ხევს, ახერხებს ამ პირადი ბარიერის გადალახვას და აღიარებს, რომ ბიჭი უდანაშაულოა.

მათ გულგრილობას ერთადერთი ადამიანი – მერვე მსაჯული უპირისპირდება. ის არ ამტკიცებს, რომ ბიჭი აუცილებლად უდანაშაულოა, თუმცა მიიჩნევს, რომ ადამიანის სიცოცხლე მინიმუმ მსჯელობასა და დაფიქრებას იმსახურებს. მისი სიმტკიცე და უნარი, დასვას კითხვები იქ, სადაც სხვებისთვის ყველაფერი ნათელია, ნელ-ნელა არღვევს უმრავლესობის ერთიანობას. მერვე მსაჯული ახერხებს, თითოეულ მათგანს საკუთარი პასუხისმგებლობა დაანახოს და აიძულოს ისინი, წინასწარი განწყობების მიღმა რეალური ფაქტები ეძებონ. ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ აჩვენებს ნაფიც მსაჯულთა სისტემის სუსტ წერტილს: საბოლოო გადაწყვეტილება ხშირად არა სამართლიანი განაჩენი, არამედ იმის შედეგია, თუ როგორ მოახერხებს ერთი ადამიანი სხვების გადაბირებას და მათ ქვეცნობიერ შიშებსა თუ ტრავმებზე ზემოქმედებას.

ამ ეჭვს კიდევ უფრო ამძაფრებს ფილმის ფინალში გამოყენებული გადაღების ხერხი. ბოლო კადრში მერვე მსაჯული ქვემოდან ზემოთ არის გადაღებული, რაც მას ვიზუალურ მედიდურობას მატებს. კინემატოგრაფიის თეორიის მიხედვით, დაბალი რაკურსი ხაზს უსვამს პერსონაჟის უპირატესობასა და ამბიციას, რის გამოც სხვა მოქმედი პირები მას ქვემოდან ზემოთ უყურებენ (Mascelli, 1965: 42). ეს დეტალი აჩენს კითხვას: ხომ

არ იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მერვე მსაჯულის რიტორიკული გამარჯვება? მისი მედიდური გამომეტყველება შეიძლება იმის დასტურიც კი იყოს, რომ ბრალდებული რეალურად დამნაშავე იყო, თუმცა ერთმა ადამიანმა მოახერხა თერთმეტ სხვადასხვა პიროვნებაზე ფსიქოლოგიური გამარჯვების მოპოვება. „12 განრისხებულ მამაკაცში“ ნაჩვენებია, რომ ვერდიქტი ხშირად არა ფაქტების, არამედ ერთი ინდივიდის ფსიქოლოგიური უპირატესობის შედეგია, რაც ეჭვქვეშ აყენებს მსაჯულთა გადაწყვეტილების აბსოლუტურ სამართლიანობას.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ხარვეზები კიდევ უფრო თვალსაჩინოა ჯონათან დემის ფილმში „ფილადელფია“ (1993). აქ მთავარი გამოწვევა არა ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა, არამედ საზოგადოებაში არსებული მყარი სტიგმებია. სასამართლო პროცესზე ობიექტური მტკიცებულებები ხშირად მეორეხარისხოვანი ხდება იმ „იარლიყების“ ფონზე, რომლებსაც პერსონაჟს მისი იდენტობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აკრავენ. ენდრიუ ბეკეტის შემთხვევა ცხადყოფს, რომ მართლმსაჯულება მხოლოდ კანონის აღსრულება კი არა, კოლექტიური შიშებისა და სოციალური ბარიერების დაძლევის რთული პროცესია. საზოგადოებრივი განწყობების გავლენა განსაკუთრებით ბიბლიოთეკის სცენაში ვლინდება, სადაც ბიბლიოთეკარისა და გარშემომყოფების მზერაში შიში და ზიზღი ნათლად ჩანს. რეჟისორმა სასამართლო სცენების გადასაღებად ნამდვილი სასამართლო დარბაზი გამოიყენა, რაც პროცესს მეტ დამაჯერებლობას მატებს.

სისტემის შიგნით არსებულ ამ ბარიერებს ადვოკატ ჯოზეფ მილერის პერსონაჟი არღვევს. მისი ტრანსფორმაცია – თავდაპირველი ჰომოფობიური განწყობებიდან ენდრიუს გვერდით დგომამდე იმის დასტურია, რომ ინდივიდს შეუძლია დაძლიოს აღზრდით მიღებული წინასწარი განწყობები. ფინალში, როდესაც ჯო საკუთარი ხელით უკეთებს ენდრიუს ნიღაბს, საბოლოოდ თავისუფლდება შიშისგან და სოციალურ უსამართლობაზე მაღლა დგება.

სომნამბულიზმი და გამოწვევები ქართულ მართლმსაჯულებაში

ამერიკული მართლმსაჯულების სისტემის ლოიალურობა და მისი დამოკიდებულება სამეცნიერო მტკიცებულებებისადმი განსაკუთრებით თვალსაჩინოა სომნამბულიზმის (მთვარეულობის) დროს ჩადენილი დანაშაულების განხილვისას. სამართლის პროფესორი დებორა დენო განმარტავს, რომ „სომნამბულიზმი შესაძლოა სასამართლოში დაცვის მყარ საფუძვლად იქცეს, რადგან იგი სამართლებრივად შეურაცხადობის ერთ-ერთ ფორმად განიხილება“ (Denno, 2002: 347). მთვარეულობა არის მდგომარეობა, როდესაც სხეული ასრულებს ფიზიკურ ქმედებებს ცნობიერი კონტროლის გარეშე. შესაბამისად, ასეთ დროს ჩადენილი აქტი არ ითვლება ნებაყოფლობითად მაშინაც კი, როდესაც ბრალდება, ერთი შეხედვით, განზრახული ქმედების ნიშნებს შეიცავს ან არაცნობიერი სურვილის რეალიზებად აღიქმება. მსგავსი პრეცედენტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამერიკული სამართლებრივი მოდელი უპირატესობას ანიჭებს არა მხოლოდ მშრალ ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობას, რაც მას მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოქნილ სისტემად აქცევს.

აღნიშნული ამერიკული პრაქტიკა თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების განვითარებისთვის მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენს. დემოკრატიული რეფორმების გზაზე საქართველომ სწორედ ამერიკული მოდელის გავლენით დაამკვიდრა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რაც სამართლებრივი მიდგომების ცვლილების მნიშვნელოვანი დასტურია. ქართულ რეალობაში ნაფიცი მსაჯულების სისტემის შემოღება მართლმსაჯულების პროცესში ხალხის მონაწილეობის გაზრდასა და მასში საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

თუმცა, ამერიკისგან განსხვავებით, ქართული მართლმსაჯულება არც სომნამბულიზმს აღიარებს დანაშაულის გამომრიცხველ გარემოებად და არც პიროვნების გაორების მქონე ადამიანების მიმართ იჩენს შემწყნარებლობას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სისტემა ჯერ კიდევ რთული გამოწვევის წინაშე დგას, რათა შეძლოს პროცესის საბოლოოდ გათავისუფლება სოციალური სტიგმების, წინასწარი განწყობებისა და ემოციური სუბიექტურობის გავლენისგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ პიროვნების გაორებისას პაციენტები ხშირად უჩივიან მეხსიერების ხანმოკლე ჩავარდნებს (ამნეზიის ეპიზოდებს), რაც ე.წ. „დაკარგული დროის“ ფენომენით გამოიხატება. ამერიკული პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში ფსიქოლოგები არ იყენებენ ჰიპნოზს ამ დაკარგული მოგონებების აღსადგენად. მეხსიერების რეაბილიტაციის ამგვარი მეთოდების უგულებელყოფა კიდევ უფრო ართულებს სამართლებრივ პროცესში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას და ბრალდებულის რეალური ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას. პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს საქართველოში გამართული ფსიქიატრიული კლინიკების არარსებობა, რაც პაციენტთა მდგომარეობას საგრძნობლად ართულებს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მხრივ არც ამერიკული მოდელია სრულყოფილი. იქ დამკვიდრებული შოკური თერაპიის მეთოდები ხშირად სახიფათოა და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს. შესაბამისად, თუ საქართველოში მთავარი პრობლემა მოუწესრიგებელი გარემოა, ამერიკაში თავად მკურნალობის აგრესიული ფორმები წარმოადგენს საფრთხეს.

დასკვნა: ამგვარად, მართლმსაჯულების პროცესი გაცილებით რთული ფენომენია, ვიდრე უბრალოდ კანონის აღსრულება. განხილულმა კინემატოგრაფიულმა მაგალითებმა ნათლად აჩვენა, რომ ვერდიქტი ხშირად არა მხოლოდ მტკიცებულებების, არამედ საზოგადოებრივი სტიგმების, პირადი ტრავმებისა და სოციალური ბარიერების მსხვრევის შედეგია. ამერიკული გამოცდილება მიუთითებს, რომ სამართლებრივი სისტემის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ჰუმანიზმსა და მეცნიერულ პროგრესთან, თუმცა ის არც სახიფათო სამედიცინო პრაქტიკებისგანაა დაზღვეული.

ბილი მილიგანის შემთხვევიდან „12 განრისხებულ მამაკაცამდე“ გავლილი გზა ადასტურებს, რომ დემოკრატიული მართლმსაჯულების მთავარი ღირებულება არა იდეალური სიზუსტე, არამედ ეჭვის შეტანის უნარი და თითოეული ადამიანის ბედისადმი გამოჩენილი პასუხისმგებლობაა. საქართველოსთვის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა რეალური გარდაქმნა მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც სისტემა შეძლებს გათავისუფლდეს დამკვიდრებული სტერეოტიპებისგან. აუცილებელია შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა არა სტიგმის, არამედ სიღრმისეული გააზრების საგანი იქნება, რათა

მართლმსაჯულება არ აღმოჩნდეს უძლური ფსიქიკის იდუმალი მხარეებისა თუ სოციალური გულგრილობის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა

REFERENCES:

Denno, Deborah W (2002). *Crime and Consciousness: Science and Involuntary Acts*. Research Paper No. 20. New York: Fordham University School of Law.

Howell, Elizabeth F (2006). *The Dissociative Mind.* New York: Routledge, Taylor & Francis Group.

Mascelli, Joseph V (1965). *The Five C's of Cinematography: Motion Picture Filming Techniques*. Los Angeles: Silman-James Press.

Spanos, Nicholas P (1996). *Multiple Identities and False Memories: A Sociocognitive Perspective*. Washington, DC: American Psychological Association.